MES 2 22 0001248486

07/10/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 23 სექტემბერს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

:https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/ საბჭოს თავმჯდომარე**;**
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი/საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ- დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანა დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

თამარ გიორგობიანი
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
თათია გივიშვილი
ქეთევან ჭუჭულაშვილი
მაგდა ბარამაძე

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს მარნეულის კოლეჯი
ნინო გომელაური - მარნეულის კოლეჯის აკადემიური დირექტორი;
სოფიო გომელაური - მარნეულის კოლეჯის დირექტორის მოადგილე ადმინისტრირების დარგში;
შორენა ალაგარდაშვილი - მარნეულის კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი.

შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმი

ლალი ხვედელიძე - ლიცეუმის დირექტორი;
მზევინარ ძირკვაძე - სასწავლო პროცესის მართვის ხელმძღვანელი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის

გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ვინაიდან საბჭოს მდივანი, მაგდა ბოლოთაშვილი, არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას, საბჭოს თავმჯდომარის მიერ, სხდომის მდივნად განისაზღვრა ქრისტინა რზგოევა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. შპს მარნეულის კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

2. შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა.

1. შპს მარნეულის კოლეჯის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია მიესალმა ექსპერტ თამარ გიორგობიანს და სთხოვა წარედგინა საკითხი.

ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, შპს მარნეულის კოლეჯში ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს (შემადგენლობა: თამარ გიორგობიანი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი -

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, თათია გივიშვილი - ექსპერტთა ჯგუფის წევრი), დაევალა მარნეულის კოლეჯში 2022 წლის 03, 04 და 05 აგვისტოს გეგმიური მონიტორინგის განხორციელება. ვიზიტის ადგილი - ქ. მარნეული, 26 მაისის ქ. №80.

ექპერტის განცხადებით, ცენტრის დირექტორის ზემოაღნიშნული ბრძანების საფუძველზე, თამარ გიორგობიანმა და ელისო ლოლაშვილმა-მერებაშვილმა ვიზიტი განახორციელეს 2022 წლის 03, 04 და 05 აგვისტოს, ხოლო თათია გივიშვილმა - 2022 წლის 05 აგვისტოს. ჯგუფმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაეცნო დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, შეაჯერა განსახილველი საკითხები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, მატერიალური რესურსების მართვაზე, ფინანსური რესურსებზე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე, საზოგადოებასთან ურთიერთობასა და საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, IT სპეციალისტს, პროფესიულ სტუდენტებსა და სამედიცინო კლინიკების წარმომადგენლებს. ექსპერტებმა შეისწავლეს ავტორიზაციის ინსტიტუციურ სტანდარტებსა და „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა და სხვა. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ავტორიზაციის 1-ელ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი და აღნიშნა, რომ სტანდარტები არის სრულ შესაბამისობაში და ხარვეზი არ დაფიქსირებულა.
ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს წარუდგინა ის ინდიკატორები, რომლებზეც გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაციები.**

მისი განცხადებით, დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნებს, ამოცანებს, აქტივობებს, შესრულების ვადებს, ბიუჯეტს, შესრულების ინდიკატორებს, მტკიცებულებებს, პასუხისმგებელ პირებს და რისკ-ფაქტორებს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრები აისახება შესაბამის ოქმში, გეგმის საბოლოო პროექტი სამუშაო ჯგუფის წევრებს შესათანხმებლად ეგზავნებათ ელექტრონულ მისამართებზე. დაწესებულებაში მოქმედებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული 2021-2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლითაც განსაზღვრულია 6 მიზანი:
1. ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა,
2. მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება,
3. კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სტუდენტების მომზადება,
4. ადამიანური რესურსის განვითარება,
5. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება,
6. ქვემო ქართლის მრავალეთნიკური ახალგაზრდების სამოქალაქო და კულტურული ინტეგრაცია). აღსანიშნავია, რომ სამოქმედო გეგმაში ასახული მიზნების განსახორციელებლად, შესრულების ინდიკატორებად რიგ შემთხვევაში მითითებულია ქმედება, რომელიც უკვე შესრულებულია.
ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. თუმცა,

რეკომენდებულია, კოლეჯმა სათანადო ფორმულირებით ჩამოაყალიბოს სამოქმედო გეგმაში შემავალი შესრულების ინდიკატორები, კერძოდ, შესასრულებელი ამოცანები იმგვარად გაწეროს, რომ უკვე შესრულებულად არ აღიქმებოდეს.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, მონიტორინგის, ანგარიშგების, განხილვისა და შედეგების გათვალისწინების პრაქტიკა ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმებულ იქნა კოლეჯის პერსონალთან ინტერვიურებისას, გარდა ამისა, წარმოდგენილ იქნა მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტაცია. აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომ 2021-2022 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ერთერთ ამოცანად განხილულია ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დამატება, განხორციელების პერიოდად განსაზღვრულია 2022 წლის იანვარი, ხოლო რისკ-ფაქტორად - სახელმწიფოს მიერ ჩარჩო-დოკუმენტის არ მომზადება. იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ ენაში მომზადების ჩარჩო-დოკუმენტი ამ ეტაპზე სახელმწიფოს მიერ მართლაც არ არის დამტკიცებული, ხოლო დაწესებულება გეგმის შეფასებას და მონიტორინგს წლის განმავლობაში რამდენჯერმე აკეთებს, აღნიშნული აქტივობა 2022 წლის აგვისტოს პერიოდისათვის მოქმედ გეგმაში მაინც ფიქსირდება.

ინდიკატორი 1.2.2.2 დაკმაყოფილებულია, კოლეჯი სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯი წლის განმავლობაში სამოქმედო გეგმის შეფასებასა და მონიტორინგს ახორციელებს, ზოგიერთშემთხვევაში, გეგმაში ისევ რჩება ისეთი აქტივობა, რომელიც ობიექტური მიზეზის გამო აღარ უნდა იყოს, რეკომენდებულია, დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის პროცესში უფრო ნათლად გაიაზროს გეგმაში ასახული ამოცანების შესრულება-არშესრულებასთან დაკავშირებული გარემოებები და საჭიროებისამებრ ასახოს სათანადო ცვლილებები, კერძოდ, ამოცანა, რომელიც კონკრეტული მიზეზის გამო ვერ/არ შესრულდა, გეგმის შეფასების შემდეგ, კოლეჯმა სათანადო რეაგირება მოახდინოს და ამოიღოს გეგმიდან, ან შეცვალოს შესრულების ვადები.

ექსპერტ ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილის განცხადებით, ხარისხის მართვის სამსახური უზრუნველყოფს კოლეჯში სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებას და კოლეჯის განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას. ხარისხის მართვის სამსახურს ხელმძღვანელობს ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი. ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს ხარისხის შიდა მექანიზმებით განსაზღვრულ პროცესებს, ამზადებს კვლევის ანგარიშებს და წარუდგენს დირექტორს, ხელმძღვანელობს თვითშეფასებაზე მუშაობის პროცესს, პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესს, ადმინისტრაციული პერსონალის მონიტორინგს, ამზადებს შრომის ბაზრის მოთხოვნათა ანალიზს, მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/ცვლილების შეტანის პროცესში, ხოლო „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მიხედვით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში მხოლოდ სამუშაო ჯგუფისთვის შრომის ბაზრისა და კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზის მიწოდებით შემოიფარგლება.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, რა ფორმით მონაწილეობს ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში და აქვს თუ არა ინტერესთან კონფლიქტს ადგილი, რაზეც ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა გასაუბრებისას ცალსახად დაადასტურა, რომ მისი ჩართულობა მხოლოდ შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და კურსდამთავრებულების კვლევების მიწოდებას გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფისათვის. გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებული შეხვედრების ოქმები, სადაც არ იკვეთება ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მონაწილეობა პროგრამების შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი 4.1.1.3 - რეკომენდებულია, კოლეჯმა „პერსონალის მართვის წესში“ გაასწოროს ტექნიკური უზუსტობა და მკაფიოდ განსაზღვროს ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მონაწილეობის შესაძლებლობა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში და შესაბამისობაში მოიყვანოს თავისსავე სხვა მარეგულირებელ დოკუმენტთან („სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“).

ექსპერტთა ჯგუფმა შერჩევით შეისწავლა პროფესიული განათლების მართვის სისტემაში ასახული ინფორმაცია. კოლეჯის მიერ პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის შესახებ ინფორმაცია სისტემაში შეტანილია კანონმდებლობით დადგენილ, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის გამოცემიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ინფორმაციის ასახვაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ახდენს ინფორმაციის ასახვას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, დაწესებულების მიერ არ არის დარეგულირებული განათლების მართვის საინფორმაციო ბაზაში ინფორმაციის ასახვის პროცედურული საკითხები. სისტემაში ინფორმაციის ასახვის თაობაზე ზოგადი ჩანაწერი მითითებულია კოლეჯის „სასწავლო პროცესის მართვის წესში“, შესაბამისად, სასურველია, კოლეჯმა შეიმუშავოს ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები/ვადები. **ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია,** დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას, თუმცა, დაწესებულების მიერ არ არის დარეგულირებული განათლების მართვის საინფორმაციო ბაზაში ინფორმაციის ასახვის პროცედურები, რა ვადაში უნდა აისახოს კონკრეტული ინფორმაცია ბაზაში. სისტემაში ინფორმაციის ასახვის თაობაზე ზოგადი ჩანაწერი მითითებულია კოლეჯის „სასწავლო პროცესის მართვის წესში“, შესაბამისად, რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები/ვადები.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯის პარტნიორი კლინიკების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსების ფლობა, რეკომენდებულია, კოლეჯსა და სამედიცინო კლინიკებთან გაფორმებულ ხელშეკრულებას თან ახლდეს იმ მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელი მოდულის სწავლის შედეგების მიღწევასაც უზრუნველყოფს სამედიცინო კლინიკა.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმები, რომელიც მოიცავს სსსმ პირების კომპონენტსაც. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმში გაწერილია გეგმის შედგენაში მონაწილე პირები, მათ შორის პროფესიული სტუდენტი, სსსმ პირებისათვის ადაპტირებული სასწავლო რესურსების გამოყენების მექანიზმები, თუმცა კარგი იქნება, თუკი დაწესებულება უფრო დეტალურად გაწერს სსსმ პირებისათვის ადაპტირებულ სასწავლო რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებულ მექანიზმს (მაგ., სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის და ა.შ.). დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ კოლეჯში არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პრაქტიკა, თუმცა არა სსსმ პირების შემთხვევაში. ამ ეტაპზე, კოლეჯში სსსმ პირი არ ირიცხება.

ინდიკატორი 2.2.1.6 - რეკომენდებულია, დაწესებულებამ უფრო დეტალურად გაწეროს აღნიშნული მექანიზმი (მაგ., სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის და ა.შ.),

ამის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია და სთხოვა 2022 წლის 02 სექტემბრის საბჭოზე დაფიქსირებულ საკითხთან დაკავშირებითაც გაეკეთებინათ კომენტარი (საკითხი ეხებოდა ერთ-ერთ სტუდენტს, აზერბაიჯანული წარმოშობის ქალბატონს, რომელმაც მიმართა დასაქმების სააგენტოს მარნეულის მუნიციპალიტეტიდან, რომელსაც ჰქონდა ენობრივი ბარიერი და მინიმალურ დონეზეც კი ვერ საუბრობდა ქართულ ენაზე. საბჭოს წევრის ნინო ველთაურის თქმით, დიპლომი ახალი გაცემული იყო. წინა საბჭოზე ნინო ველთაურმა დასვა კითხვა, თუ როგორ შეძლო ქალბატონმა პრაქტიკოსი ექთნის კვალიფიკაციის მიღება).

დაწესებულების წარმომადგენლმა, ნინო გომელაურმა, დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. მისი განცხადებით, დაწესებულებაში მონიტორინგის ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ გარემოში და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციებს კოლეჯი გაითვალისწინებდა. ნინო გომელაურის განცხადებით, გეგმიური მონიტორინგი მისასალმებელია დაწესებულების განვითარებისთვის.
რაც შეეხება წინა საბჭოზე დაფიქსირებულ ფაქტს, ამ ეტაპზე, პასუხი არ ჰქონდა, არც მტკიცებულება, რომ მოკვლევა დაეწყო დაწესებულებას. მისი განმარტებით, პრობლემას წარმოადგენდა შემდეგი პირები, ეროვნული გამოცდით ირიცხებიან კოლეჯში „ქართული ენის“ A2 მოდულზე, შემდგომში აგრძელებენ და B1 მოდულით ასრულებენ, ასეთი პირებისთვის აღნიშნული ორი მოდული საკმარისი არ არის და კოლეჯი იძულებულია შეუჩეროს სტატუსი. ნინო გომელაურის განცხადებით, 12 პირიდან, რომლებიც ჩაირიცხნენ სხვადასხვა ქართულ მოდულებზე, მხოლოდ ექვსმა დაასრულა სწავლა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა დააფიქსირა საკუთარი პოზიცია. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ მოგვიანებით, მაგრამ გადმოგზავნილი იყო აღნიშნული სტუდენტის დიპლომი, რომელსაც დაწესებულება ნახავდა ელექტრონულ ფოსტაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მარნეულის კოლეჯის (ს/კ: 234158498) მონიტორინგის ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

მომხრე: 8
წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მარნეულის კოლეჯში (ს/კ:234158498) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა ქრისტინა რზგოევამ აცილება მოითხოვა დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით.

2. შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია მიესალმა ექსპერტ ქეთევან ჭუჭულაშვილს და სთხოვა წარედგინა საკითხი.

ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის განხორციელების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: 1. ქეთევან ჭუჭულაშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე); 2. მაგდა ბარამაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი). 2022 წლის 22 აგვისტოს განხორციელდა ვიზიტი ქ. ბათუმში, შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში. დოკუმენტაციის შესწავლის, ადმინისტრაციასთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შედგა შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის მონიტორინგის დასკვნა.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები

5.1.1.1 - დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;

5.1.1.2 - დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;

5.1.1.9 - ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა; წინა ვიზიტის დროს, რომელიც განხორციელდა 2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალს დაწესებულების პირველ კორპუსში (მათ შორის, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში) მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა შესაბამისობის გეგმა (ბრძანება №01-03/2; 24.02.2022წ.) რომლის შესაბამისადაც, ლიცეუმის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის, სარემონტო სამუშაოების

დასრულებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის, (№2 აქტივობა) დასრულების ვადად მითითებული იყო 2022 წლის 28 ივლისი.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ 5.1.1.1, 5.1.1.2 და 5.1.1.9 კომპონენტები შეფასებულ იქნა როგორც „მეტწილად შესაბამისი“. მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 22 აგვისტოს, სარემონტო მოპირკეთების სამუშაოები დაწესებულების სასწავლო და სამუშაო გარემოში, მათ შორის, ბიბლიოთეკაში და სასწავლო აუდიტორიებში დასრულებულია. რეკომენდაცია შესრულებულია.

5.1.2.1. - წინა ვიზიტისას (2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალი) ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შესაბამისად, დაწესებულებაში არასრულად ფუნქციონირებდა სახანძრო უსაფრთხოების სისტემა, დაწესებულებამ ექსპერტებს ასევე წარუდგინა შესაბამისობის გეგმა (ბრძანება №01-03/2; 24.02.2022წ.), რომლის შესაბამისადაც სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწესრიგების დასრულების ვადად მითითებული იყო 2022 წლის 28 ივლისი. კომპონენტი შეფასებულია როგორც **„ მეტწილად შესაბამისი“.** მონიტორინგის ვიზიტის დროს (2022 წლის 22 აგვისტოს) სახანძრო უსაფრთხოების სისტემა კვლავ არასრულად ფუნქციონირებდა, კერძოდ, დაწესებულების პირველ კორპუსში, სადაც მოხდა სართულის დაშენება, სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შემოწმება ჯერ არ განხორციელებულა, ვინაიდან აქ ჯერ კიდევ მიმდინარეობს სამუშაოები, დაწესებულების განმარტებით, ვინაიდან შენობას დაემატა სართული, მთლიანი კორპუსი დაექვემდებარა სახანძრო უსაფრთხოების ახალი ნორმებისა და ვალდებულებების შესრულებას, რაც გულისხმობს ოთხსართულიან შენობაში ახალი მოთხოვნების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო წყლით მომარაგების სისტემის მონტაჟს, შეფერხების მიზეზი გახდა რესურსების მომწოდებელი კომპანიების მიერ რესურსების იმპორტირებასთან დაკავშირებული ხარვეზები, რა დროსაც რიგ შემთხვევებში შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (შენობის მეიჯარეს) მოუწია შეეცვალა მომწოდებლები. ხარვეზები აღმოიფხვრა, თუმცა შეფერხდა სამუშაოები. დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს №01-03/12 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან ლიცეუმის შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დასრულება მოხდება არაუგვიანეს 2023 წლის 15 თებერვლისა.
რეკომენდაცია არ არის შესრულებული.

5.2.1.4. - წინა ვიზიტის პერიოდში (2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალი) ექპერტთა ჯგუფის შეფასებით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაწესებულების დამხმარე პროცესებს აფასებს კომპლექსურად, თუმცა ამ შეფასებაში ნაკლებად ჩანს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, ლიცეუმის წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა (№01-03/2; 24.02.2022წ.) ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულად იმპლემენტაციის მიზნით, რომლის პირველი აქტივობა გულისხმობდა ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებების სრულად იმპლემენტაციას. მიმდინარე მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა ტექნოლოგიური უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის სამსახურის 2022 წლის 30 ივნისის „საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტიანობის შეფასების ანგარიში“, რომელიც ეხება 2022 წლის 07 მარტიდან 18 აპრილამდე შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის სასწავლო/სამუშაო მიზნებისთვის განთავსებული კომპიუტერული ტექნიკის შემოწმებას. შემოწმებამ აჩვენა, რომ კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც განთავსებული იყო I კორპუსის I სართულზე №1 კომპიუტერულ კლასში მოძველებულია, მუშაობდა შეფერხებით და ექვემდებარებოდა განახლებას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გადაწყდა-კომპიუტერული ტექნიკის ჩამოწერა, რაზეც შედგა ჩამოწერის აქტი. მიღებული აქტის საფუძველზე მოხდა რეაგირება საფინანსო სამსახურის მიერ და შეძენილი იქნა

პერსონალური (UM.QW0EE.A04 Acer 60CM 23.8" W, HA240YABI) 88 ერთეული ახალი კომპიუტერული ტექნიკა, აღჭურვილია სამუშაო/სასწავლო მიზნებისთვის აღჭურვილი პროგრამებით, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის მუდმივ შესაბამისობას საგანმანათლებლო პროცესებთან და ინფორმაციის დაცულობას. აღნიშნულ ანგარიშს თან ერთვის მიღება ჩაბარების აქტი და საგადასახადო ანგარიშფაქტურა. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2022 წლის აპრილში ჩატარებული კმაყოფილების კვლევების შედეგები და ანალიზი, რომლის შესაბამისადაც შეფასდა პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და დაწესებულების პერსონალის კმაყოფილება საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის მიმართულებით. რეკომენდაცია შესრულებულია.

5.2.2.2. - წინა ვიზიტის დროს (2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალი) ლიცეუმში არ გამოიყენებოდა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა. აღნიშნულის დანერგვის მიზნით დაწესებულებას დაწყებული ჰქონდა მუშაობა, რაც ასახული იყო წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის (ბრძანება №01-03/2; 24.02.2022წ.) მესამე აქტივობაში და შესრულების ვადად მითითებული იყო 2022 წლის 28 ივლისი. მონიტორინგის ვიზიტის დროს გაირკვა, რომ 2022 წლის ივნისიდან დაწესებულებაში მოქმედებს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა - eDocument, დაწესებულებამ ასევე უზრუნველყო თანამშრომელთათვის ტრენინგის ჩატარება ამ მიმართულებით. რეკომენდაცია შესრულებულია.

5.2.3.1 პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
5.2.3.2 დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
წინა ვიზიტის დროს (2022 წლის 23, 24 და 25 თებერვალი) ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ლიცეუმს დაწყებული ჰქონდა მუშაობა ვებგვერდის სრულყოფის მიზნით და აღნიშნული გაწერილი იყო ლიცეუმის მიერ წარმოდგენილი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმაში (ბრძანება №01-03/2; 24.02.2022წ.) აქტივობის შესრულების ვადად განსაზღვრული იყო 2022 წლის 28 ივლისი. ლიცეუმის დირექტორის მიერ 2022 წლის 4 ივლისს დამტკიცდა ოფიციალური ვებგვერდის შეფასებისას გამოვლენილი შენიშვნების/რეკომენდაციების მიხედვით მაკორექტირებელ ქმედებათა შესრულების გეგმა, რითიც განისაზღვრა ვებგვერდთან დაკავშირებული შენიშვნები, მაკორექტირებელი ქმედებები, შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა მიერ დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ლიცეუმი უკვე სარგებლობს ახალი, რეგულარულად განახლებადი ვებ-გვერდით: https://www.liceum.bntu.edu.ge/, სადაც განთავსებულია ყველა საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, დაწესებულების საქმიანობის, სტრუქტურის, პროგრამების შესახებ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი აქტები, ინფორმაცია ლიცეუმის მისიის, ხედვის, ღირებულებების შესახებ და ა.შ. ვებგვერდი ფუნქციონირებს ინგლისურ ენაზეც. რეკომენდაცია შესრულებულია.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ლიცეუმში მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების საფუძველი იყო წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება. ერთ-ერთ რეკომენდაციას წარმოადგენდა, სწორედ, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გამართული ფუნქციონირება დაწესებულების სარგებლობაში არსებულ ტერიტორიაზე. მონიტორინგის ვიზიტის დროს (2022

წლის 22 აგვისტოს) სახანძრო უსაფრთხოების სისტემა კვლავ არასრულად ფუნქციონირებდა, კერძოდ, დაწესებულების პირველ კორპუსში, სადაც მოხდა სართულის დაშენება და მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები, (განთავსებულია ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, სველი წერტილები, სტუდენტური სივრცე) სახანძრო უსაფრთხოების ნორმების შემოწმება ჯერ არ განხორციელებულა, ვინაიდან აქ ჯერ კიდევ მიმდინარეობს სამუშაოები, დაწესებულების განმარტებით, ვინაიდან შენობას დაემატა სართული, მთლიანი კორპუსი დაექვემდებარა სახანძრო უსაფრთხოების ახალი ნორმებისა და ვალდებულებების შესრულებას, რაც გულისხმობს ოთხსართულიან შენობაში ახალი მოთხოვნების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო წყლით მომარაგების სისტემის მონტაჟს, შეფერხების მიზეზი გახდა რესურსების მომწოდებელი კომპანიების მიერ რესურსების იმპორტირებასთან დაკავშირებული ხარვეზები, რა დროსაც რიგ შემთხვევებში შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტს (შენობის მეიჯარეს) მოუწია შეეცვალა მომწოდებლები. ხარვეზები აღმოიფხვრა, თუმცა შეფერხდა სამუშაოები. დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა ლიცეუმის დირექტორის 2022 წლის 22 აგვისტოს №01-03/12 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან ლიცეუმის შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის დასრულება მოხდება არაუგვიანეს 2023 წლის 15 თებერვლისა.

შესაბამისად, **ინდიკატორი 5.1.2.1. შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი** და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, წარმოადგინოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
ამასთან, დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა მის სარგებლობაში არსებული ერთი შენობისათვის (II კორპუსი), რაც შეეხება I კორპუსს, სადაც მოხდა სართული დაშენება და ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები (სახანძრო უსაფრთხოებისათვის საჭირო ხანძარსაწინააღმდეგო წყლით მომარაგების სისტემის მონტაჟი), დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმის (№01-03/12; 22.08.2022წ.) შესაბამისად, დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმდება არაუგვიანეს 2023 წლის 15 თებერვლისა.

ამდენად, ექსპერტთა მიერ **ინდიკატორი 5.1.2.3. შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი** და დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, წარმოადგინოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტ ქეთევან ჭუჭულაშვილს, წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესახებ, უმეტესობა რეკომენდაციებისა შესრულებული იყო თუ არა.
ექსპერტის განცხადებით, ცხრა რეკომენდაციიდან შესრულებულია რვა, დარჩენილია რეკომენდაცია 5.1 კომპონენტის ფარგლებში, რომელიც ეხება სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მონტაჟს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტება გააკეთა იმის შესახებ, რომ ვინაიდან საბჭოს წევრებს მოუგვარებელ საკითხად არ ესახებოდათ 5.1 კომპონენტი, ამ ეტაპზე, ასევე მიზანშეწონილად

არ მიიჩნია საბჭომ მონიტორინგის ხელახალი დანიშვნა, თუმცა შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, როგორც კი მოგვარდებოდა აღნიშნული პრობლემა, ანგარიში წარმოედგინა დაწესებულებას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმის(ს/კ: 248417896) მონიტორინგის ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

მომხრე: 7
წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმში(ს/კ: 248417896) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების გაუქმების შესახებ საკითხის განხილვა.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ციხისელმა. მან საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, ნუნუ გელდიაშვილმა, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს (შემდგომში ცენტრი) 2022 წლის 18 აგვისტოს მიმართა წერილით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთან შუამდგომლობისათვის. წერილში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტში უახლოეს პერიოდში არ იგეგმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.

ქეთევან ციხისელის განცხადებით, დაწესებულებას უფლების მოპოვების გზით მინიჭებული აქვს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლება და დაწესებულებას გადაწყვეტილი აქვს ამ მიმართულებით გააგრძელოს საქმიანობა, ამდენად, ითხოვენ ავტორიზაციის გაუქმებას.

საბჭოს თავმჯდომარის თხოვნით, საბჭოს სხდომაზე კომენტარი გააკეთა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, შალვა ჭკადუამ, რომელმაც განაცხადა, რომ უნივერსიტეტი გადართულია მომზადება გადამზადების პროფესიული პროგრამების მომზადება/განხორციელებაზე, საკვალიფიკაციო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას ამ ეტაპზე აღარ აპირებენ, სურთ შეიწყვიტონ განხორციელების უფლება. როცა მზად იქნებიან, გააკეთებენ განაცხადს ამ მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების გაუქმების საკითხი.

მომხრე: 8
წინააღმდეგი 0

გადაწყვეტილება: საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტისა და 61 - ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს(ს/კ: 231187168)) გაუუქმდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 14:15 საათზე ავტორიზაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა